ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4182644

ნომერი: AR1631076

თარიღი : 18.09.2018

გაცემის თარიღი : 21.09.2018

გაცნობის თარიღი : 25.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 135;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სეფიდე მოვაჰედიან ათარ პ/ნ 01291025874
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 99

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

..მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: ვინაიდან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია N003057 (06.12.2017) მითითება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე საჭიროა დამატებით ფაილში ატვირთოთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და ნაწარმოები მშენებლობის შესაბამისად განაახლოთ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის კალენდარული გრაფიკი (ეტაპების სახით გაწერეთ დარჩენილი სამუშაოები). წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგინეთ ზედამხედველობის შესაბამისი აქტი, რომ მიმდინარე 18/09/2018 AR1631076 განცხადებაზე არ მიმდინარეობს სამშენებლო სამართალ დარღვევეის ადმინისტრაციული საქმის წარმოება.
-დეტალურად განმარტეთ შენობის ფუქნქციის შესახებ.

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოადგინეთ განახლებული ფოტომასალა ასევე კონტურიღ მონიშნეთ საპროექტო არეალი.

-წარმოადგინეთ რეალობასთან მეტად მისადაგებული ფოტომონტაჟი, ასევე დამატებით წარმოადგინეთ გეგმები, ჭრილები და ფასადები ნიშნულების და ზომების მითითებით.
-მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა, ასევე კონტურით მონიშნეთ სამშენებლო შენობის განთავსების არეალი.
-საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აეროდრომის რაიონში. საქართველოს საჰარეო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით აწარმოონ. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა პირველ რიგში წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ტოპოგრაფიული გეგმა ნიშნულების დატანით და იმ შემთხვევაში თუ საპროექტო მიწის ნაკვეთი დადგენილ ნიშნულზე მაღლა მდებარეობს წარმოსადგენი გექნებათ შპს "ტავ ურბან საქართველოს" მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა.
-მოთხოვნის შინაარსში დეტალურად დააზუსტეთ შენობის ფუნქცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სრულად გაცნობოთ ხარვეზები.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.